საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-649

10/05/2021

ქ. თბილისი

„მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „შან ჰიდროს“ მდ. ლაჰლაჭალასა და მის შენაკადზე 13 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ლაჰლაჭალა ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის პირველი მაისის N2-371 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „შან ჰიდროს“ მდ. ლაჰლაჭალასა და მის შენაკადზე 13 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ლაჰლაჭალა ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის პირველი მაისის N2-371 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №37 (29.03.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „შან ჰიდროს“ მდ. ლაჰლაჭალასა და მის შენაკადზე 13 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ლაჰლაჭალა ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის პირველი მაისის N2-371 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „შან ჰიდროს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შან ჰიდროს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი